ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭო

ოქმი:**ო47. 4723318001**
თარიღი:**14/11/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომის

ოქმი N7

დ. ჩოხატაური 07.11 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე - მარინე ბერაძე

სხდომის მდივანი: მაია გიორგაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

ზაალ მამალაძე, მარიტა მგალობლიშვილი, ჯუმბერ ბერძენიშვილი, თეა მამალაძე, ქეთევან სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, მაია პაიჭაძე, სოფო ჯინჭარაძე, ნინო კაპანაძე, მანანა მინდაძე, ნინო რამიშვილი, ნანა ცინცაძე, მედეა შარაშიძე, იამზე ტაკიძე,

ნათია ლალიაშვილი(ჩაერთო ონლაინ)

არ ესწრებოდნენ: მარინე თავაძე, ლაშა ირემაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერ კონკურსში მონაწილე აპლიკანტებთან გასაუბრება და პროექტების პრეზენტაცია.

კონკურსში მონაწილეობას იღებდა 11 აპლიკანტი:

1. ქეთევან კეკელიძე 2. ნათელა ირემაძე 3. ნათელა ანდღულაძე 4. ირმა თავართქილაძე 5. მავრა ცერცვაძე 6. ფიქრია ბეღელაძე 7. დონარა უჯმაჯურიძე 8. ირმა ჩალაძე 9.რუსუდან კობიძე 10. ნინო კუტუბიძე 11. ნინო სურმანიძე

გასაუბრებაზე 1 აპლიკანტი - ნინო სურმანიძე არ გამოცხადდა.

გასაუბრებაზე საბოლოოდ დაშვებული იქნა 10 აპლიკანტი: 1. ქეთევან კეკელიძე 2. ნათელა ირემაძე 3. ნათელა ანდღულაძე 4. ირმა თავართქილაძე 5. მავრა ცერცვაძე 6. ფიქრია ბეღელაძე 7. დონარა უჯმაჯურიძე 8. ირმა ჩალაძე 9.რუსუდან კობიძე 10. ნინო კუტუბიძე

გასაუბრების რიგითობა განისაზღვრა კონკურსანტების სურვილისამებრ:

1. **ნინო კუტუბიძე,** ქლიავის ბაღის მოსავლელად ტექნიკის შეძენა სოფ.ბჟოლიეთი

   გააკეთა ზეპირი პრეზენტაცია და წარმოადგინა უკვე გაშენებულ ქლიავის ბაღის ფოტომასალა.

   გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

   მანანა მინდაძე: რა ფართობზეა ქლიავის ბაღი გაშენებული და გადანაწილება როგორ გაქვთ ნერგების?

   ნინო კუტუბიძე: გაშენებულია 3500 კვ.მ -ზე ძირითადადა ქლიავი, არის ღოღნაშოც და მსხალიც .

   მედეა შარაშიძე- მაინტერესებთ ახლა როგორ ამუშავებთ, ქირაობთ ტექნიკას თუ სხვა საშუალებას იყენებთ?

   ნინო კუტუბიძე: მთლიანად ვამუშავებთ გაზაფხულზე, ვქირაობთ, დიდ ხარჯებტანაა დაკავშირებული და მხოლოდ გაზაფხულზე ვამუშავებთ.

2. **ნათელა ანდღულაძე**, ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის შექმნა, დაბა ჩოხატაური

   წარმოადგინა ზეპირი პრეზენტაცია.

   გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

   მარინე ბერაძე - თქვენი მომსახურება ყველასთვის ფასიანი იქნება თუ რომელიმე მოწყვლადი ჯგუფისთვის გაავრცელებთ შეღავათებს?

   ნათელა ანდღულაძე - დიახ, საჭიროების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებზე გავრცელდება შეღავათები.

   მედეა შარაშიძე - გაქვთ თუ არა აქამდე მუშაობის პერიოდში განხორციეკებული წარმატებული პროექტები?

   ნათელა ანდღულაძე - დიახ, დაახლოებით 25-მდე პროექტია ჩვენი კონსულტაციით დაწერილი და წარმატებული.

   მაია პაიჭაძე - თუ ეს პროექტი გაიმარჯვებს, მდგრადობისთვის რას გააკეთებთ, ისევ გრანტებით გააგრძელებთ მუშაობას თუ როგორ წარმართავთ?

   ნათელა ანდღულაძე - ფასიანი მომსახურება იქნება ძირითადი გარანტორი მდგრადობის.

   ნანა ცინცაძე - შეგიძლიათ ერთი კონკრეტული მაგალითი დაგვისახელოთ თქვენს მიერ დაწერილი და გამარჯვებული პროექტის?

   ნათელა ანდღულაძე -დიახ, აწარმოე საქართველოში მონაწილე ბენეფიციარმა ჩვენი მომსახურებით მიიღო დაფინანსება.

3. **ქეთევან კეკელიძე -** სამკერვალო საწარმო სოფ. ბუოლიეთში, წარმოადგინა ზეპირი პრეზენტაცია.

გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

მანანა მინდაძე - ვინ იქნებიან თქვენი მომხმარებლები?

ქეთევან კეკელიძე - ჩემი მომხმარებლები იქნებიან ჩემს თემში მცხოვრები ადამიანები, ასევე მივიღებ შეკვეთებს საბავშვო ბაღის და სკოლის მოსწავლეებიდან, რაც მათ ფორმირება სჭირდებათ ღონისძიებებისთვის.

4. **დონარა უჯმაჯურიძე** - ყვავილების სათბურის გაფართოვება-მოწყობა, სოფ.ქვემო ერკეთი

წარმოადგინა ზეპირი პრეზენტაცია.

გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

მანანა მინდაძე - რამდენია თქვენი სათბურის ფართობი?

დონარა უჯმაჯურიძე - 120 კვ.მ-ია, მაქვს გაშენებული მწვანილი, ქოთნის ყვავილები და ვარდის ნერგები) სამწუხაროდ არ მაქვს ჩემი წყალი და სხვისი წყლით ვსარგებლობ.

მანანა მინდაძე - შეგიძლიათ 20 ნოემბრამდე მონაწილეობა მიიღოთ სახელმწიფო პროგრამაში კონკრეტულად ჩოხატაურის ქალებისთვის - ეს არის სასათბურე პროგრამა, 90 % დაფინანსებით.

მაია გიორგაძე - ვის დაასაქმებთ, ეს თქვენი ოჯახის წევრებია თუ სხვა?

დონარა უჯმაჯურიძე - დავასაქმებ 2 ქალს, ისინი არ არიან ჩემი ოჯახის წევრები.

5. **რუსუდან კობიძე** - გასართობ-შემეცნებითი სივრცე „დანდულენდი“, დაბა ჩოხატაური, ნიკო მარის N12

წარმოადგინა პრეზენტაცია ppt- სახით.

გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

მანანა მინდაძე - სად იქნება გასართობი ცენტრის ლოკაცია?

რუსუდან კობიძე - დ. ჩოხატაური,ნიკო მარის ქN12

სოფიო ჯინჭარაძე - სივრცე რომელიც გაქვთ აკმაყოფილებს თუ არა გასართობის ცენტრისთვის მოსაწყობად პირობებს?

რუსუდან კობიძე - ეზო უფრო კეთილმოწყობილია, შიდა სივრცე დიდი არ არის.

მანანა მინდაძე - სახლის პირობებში რას სთავაზობთ ბავშვებს?

რუსუდან კობიძე - გვაქვს მოძრავი ცენტრი, ვმუშაობთ გამოძახებებზე, თუ შესაბამისი სეზონი იქნება და ეზოში ექნება მომხმარებელს სურვილი, მაშინ ეზოც შეგვიძლია მოვაწყოთ სადღესასწაულოდ.

ნანა ცინცაძე - ამ ეტაპზე სივრცე არ გაქვს?

რუსუდან კობიძე - არა, მხოლოდ გამოძახებებზე ვმუშაობთ, ქირის თანხა ძალიან მაღალი იყო და გადახდა ვერ შევძელით.

თეა მამალაძე - რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?

რუსუდან კობიძე - მყავს დასაქმებული 10 ახალგაზრდა, მათ შორის მოსწავლეებიც რომლებიც თითოეული ღონისძიებიდან ანაზღაურებას იღებენ.

6. **ფიქრია ბეღელაძე** - სარეკლამო პოლიგრაფიული და ბეჭდვითი სერვისები, დაბა ჩოხატაური.

წარმოადგინა ზეპირი პრეზენტაცია.

გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

ნანა ცინცაძე - რაც გაქვთ წარმოდგენილი ეს ახალი მომსახურებაა?

ფიქრია ბეღელაძე - ჩვენ გვაქვს ნაწილობრივ მომსახურება, ვამზადებთ მეღვინეებისთვის და არა მარტო მათთვის ეტიკეტებს და ა. შ.

ნანა ცინცაძე - კონკურენტები თუ გყავთ ადგილობრივ ბაზარზე?
ფიქრია ბეღელაძე - კი, როგორ არა, არის ადგილობრივ დონეზე, მაგრამ როგორც ვიცი ისინი იღებენ შეკვეთას და მერე სხვაგან ამზადებენ, თვითონ ეს პრინტერი არ აქვთ. ჩვენ შევქმნით მაღალი ხარისხის ბეჭდურ სერვისს, მაგ. მე. თვითონ ვწერ ლექსებს და ამ აპარატის დახმარებით შემიძლია ამ ლექსების ბროშურის სახით გამოცემა, ასევე მივიღებთ მრავალფეროვან შეკვეთებს.

მაია გიორგაძე- განაცხადში მითითებული გაქვთ ადგილობრივ დონეზე კონკურენტი, განსხვავებულ სერვისს რას შესთავაზებთ მომხმარებელს?

ფიქრია ბეღელაძე - განსხვავება ისაა, რომ ერთ სივრცეში მიიღებენ მომსახურებას, ადგილზე მივიღებთ შეკვეთას და ადგილზევე დავამზადებთ.

მანანა მინდაძე - თქვენი მომსახურება არის გათვლილი მხოლოდ ქაღალდზე თუ სარეკლამო ბანერებსაც დაამზადებთ?

ფიქრია ბეღელაძე - ვიმუშავებთ მხოლოდ ქაღალდზე და სარეკლამო ბანერებს ვერ დავბეჭდავთ.

7. **ირმა თავართქილაძე** - კოსმეტოლოგიური მინი საწარმოს შექმნა, არსებული კაბინეტის ბაზაზე, დაბა ჩოხატაური, ლესელიძის ქ. N8

წარმოადგინა ზეპირი პრეზენტაცია.

გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

მანანა მინდაძე - სად იღებთ მასალებს კოსმეტოლოგიური საშუალებების დასამზადებლად?

ირმა თავართქილაძე - ვიღებ თბილისში სპეციალურ მაღაზიებში, ან ვიწერ ონლაინ. გავიარე ნატურალურ კოსმეტოლოგიაში შესაბამისი კურსი, ავიღე სერთიფიკატი

მანანა მინდაძე - 20 წელია საქმიანობთ, როდესმე თუ მიგიღიათ რაიმე სახის დახმარება ან გრანტი?

ირმა თავართქილაძე - არსადროს მიმიღია რაიმე დაფინანსება, მივიღე ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ ვერ გავიმარჯვე.

ნინო რამიშვილი - მხოლოდ ქალბატონების ხაზზე მუშაობთ?

ირმა ტავართქილაძე - კრემებს ქალებისთვის ვამზადებ, რაც შეეხება ნატურალურ საპნებს ვაწარმოებ ბავშვებისთვისაც და მამაკაცებიც იყენებენ.

მაია გიორგაძე - ლიცენზია თუ გჭირდებათ ამ საქმიანობისთვის ?

ირმა თავართქილაძე - მე დიდი ხანია მაქვს კოსმეტოლოგიური კაბინეტი, ვთანამშრომლობ სურსათის უვნებლობის სამსახურთან, რომელიც ხშირად ამოწმებს კაბინეტს.

8. **ირმა ჩალაძე** - მეფუტკრეობის გაფართოება, სოფ. ქვემო ერკეთი

წარმოადგინა ზეპირი პრეზენტაცია.

გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

მანანა მინდაძე - რამდენი ოჯახი ფუტკარი გყავთ ამ ეტაპზე და თითო ოჯახისგან რამდენს იღებთ თაფლს?

ირმა ჩალაძე - ამჟამად მყავს 3 ოჯახი, ამიტომაც ვფიქრობ გაფართოებას, თითოეული ოჯახიდან ვიღებ 40- 45 კგ. თაფლს.

მანანა მინდაძე - მე როგორც სოფლის მეურნეობის სამსახურის წარმომადგენელი, ვთანამშრომლობ არაერთ ფერმერთან, მათ შორის მეფუტკრეებთანაც . მაქვს ინფორმაცია რომ ადგილობრივი ცნობილი მეფუტკრე რომან მამალაძე ეხმარება ადგილობრივ დამწყებ მეფუტკრეებს და მე აუცილებლად დაგაკავშირებთ მას, იგი გაგიწევთ ყველანაირ დახმარებას, მათ შორის აქვს შესაძლებლობა გადმოგცეთ რამდენიმე ფუტკრის სკა-ოჯახით.

ირმა ჩალაძე - ძალიან დიდი მადლობა, ჩემთვის ეს მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

9. **ნათელა ირემაძე** - საოჯახო ტიპის სასტუმროს მოწყობა სოფ. ჩხაკაურაში

წარმოადგინა პრეზენტაცია ppt- სახით.

გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

ნანა ცინცაძე - გთხოვთ დააზუსტოთ, ეს შენობა სადაც საოჯახო სასტუმრო უნდა იყოს გაქვთ თუ ახლა უნდა ააშენოთ?

ნათელა ირემაძე - უკვე გვაქვს, ერთი საცხოვრებელი სახლი და გვერდით ასევე კოტეჯი, ვაპირებთ არსებულოს გაფართოებას.

ნანა ცინცაძე - ამჟამად თუ მასპინძლობთ ტურისტებს?

ნათელა ირემაძე - დიახ, მხოლოდ საკუთარ სახლში. თუ ამ შენობებს გავმართავთ მაშინ 12 დამოუკიდებელი ნომერი იქნება სრული სერვისით.

თუ შეგიძლიათ თქვენის სახლის ფოტო გვაჩვენოთ?

ნათელა ირემაძე - სამწუხაროდ დღეს ჩემი სახლის ფოტო არ მაქვს წარმოდგენილი

მედეა შარაშიძე - პროექტის მდგრადობასთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ?

ნათელა ირემაძე - შენობების გაფართოება და კეთილმოწყობა მომცემს გარანტიას პროექტის მდგრადობაზე.

10. **მავრა ცერცვაძე** - ღვინის ტურიზმის განვითარების მიზნით სივრცის მოწყობა, სოფ. გორაბერეჟოული.

წარმოადგინა პრეზენტაცია ppt- სახით.

გასაუბრება გაგრძელდა კითხვა -პასუხის რეჟიმში:

მედეა შარაშიძე - სად ახდენთ „არმუნჯის“ პროდუქციის რეალიზებას?

მავრა ცერცვაძე - რეალიზაციას ვახდენთ საქათველოს მასშტაბით და ადგილზე ტურისტებთან. გვაქვს არაერთი შეკვეთა, როგორც კომპანია „არმუნჯს“. ვამზადებთ ღვინოს, წინსაფრებს, თავსაფრებს, ჩანთებს და ა. შ.

აპლიკანტებთან გასაუბრება და პრეზენტაციის ეტაპი დასრულებულია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ხმის მიცემა ჩატარდეს 2023 წლის 08 ნოემბერს, 17:00 საათზე, საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შეთავაზებულ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი